



ქვედა

პოლიტიკა

თავმოძრაობა

კულტურა

ბიზნესი

საზოგადოება

რელიგია

სპორტი

« მაისი 2013 »

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვი
		1	2	3	4	5
6	7	8	9	10	11	12
13	14	15	16	17	18	19
20	21	22	23	24	25	26
27	28	29	30	31		

გაუგზავნე ბმული მეგობარს | ამოსაბეჭდი ვერსია | განხილვა ფორუმზე



13:04 26.05.10 - მიშას „ფორმულა“ და უგულავას ლიანდაგები

[ნიკა ასლანიძე]

მთავარია, სწორ რელსებზე იდგე და "ფორმულა 3"-ის მანქანით მიქროდე, დანარჩენი სათვალავში ჩასაგდება არ არის. ამ ორი დღის განმავლობაში ხელისუფლებამ ორივე წადილი აისრულა - რელსები უგულავამ გაიღო მხარზე, „ფორმულა 3“ კი სააკაშვილმა გააჭენა.

საქმე ეხება ორი სატრანსპორტო კომუნიკაციის მშენებლობას. ორივემ თბილისის განტვირთვის უნდა შეუწყოს ხელი - ცალკერძო ვაკე-საბურთალოს დამაკავშირებელი მაგისტრალის მეშვეობით, ცალკერძო კი თბილისი შემოვლითი რკინიგზის საშუალებით.

საქართველოს დამოუკიდებლობის წინა დღეს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა და მერობის კანდიდატმა გიგი უგულავამ გმირთა მოედანზე, ახლადამენებული ვაკე-საბურთალოს დამაკავშირებელი მაგისტრალი "ფორმულა 3"-ის მანქანებით გადაკვეთეს.

როგორც მიხეილ სააკაშვილმა ჟურნალისტებს მოუთხრო, დასაწყისში მან გაუსწრო ქალაქის მერს, ხოლო შემდეგ გიგი უგულავა იყო წინ. "საბოლოო ჯამში გაიმარჯვა მეგობრობამ და პროგრესმა", - განაცხადა სააკაშვილმა.

მისივე თქმით, გმირთა მოედანზე ახლადამენებული ესტაკადა ხელს შეუწყობს თბილისში მოძრაობის განტვირთვის. "ეს არის უკეთესი ხარისხის გზა, ვიდრე გორის გზა. "ფორმულა 3" არის ძალიან მგრძობიარე მანქანა და პატარა დაბრკოლებაზეც რეაგირებს. თუმცა, ჩვენ ეს გზა, ფაქტობრივად, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე გადავლახეთ", - განაცხადა სააკაშვილმა.

პრეზიდენტის თქმით, მთავრობა მუშაობს იმ მიმართულებით, რომ თბილისში გაადვილდეს მოძრაობა და ეს მთავრობის ერთ-ერთ სტრატეგიულ ხედვას წარმოადგენს. თბილისში ავტომანქანების რაოდენობა გაორმაგდა და ხელისუფლებამ შესაბამისი ზომები უნდა მიიღოს.

გამოკითხვა

თქვენი აზრით, საქართველოს პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურის მიერ წარმოდგენილი ეკონომიკის სტიმულირების გეგმა რამდენად პასუხობს მოსახლეობის დაკვეთას?

- ძალიან კარგი გეგმაა და მისი შედეგები მომავალ წელს უკვე გამოჩნდება
- გეგმა არასრულყოფილია, და უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მცირე ბიზნესს
- ძირითადი აქცენტი სოფლის მეურნეობაზე არ უნდა აგაკეთებულიყო, რადგან არც სხვა სფეროებში გვიღობინს
- შესაძლებელია კარგი პროექტია, მაგრამ ეს მაინც ვერ შეცვლის ეკონომიკის მთლიან სურათს
- მიჭირს პასუხის გაცემა

ხმის მიცემა შედეგი არჩივი

კატეგორია:

“მე თავის დროზე ხილიანზე ვცხოვრობდი და ბინა მხოლოდ იმის გამო გადავცვალე, რომ გადაადგილება შეუძლებელი იყო. გზის მშენებლობა რომ დასრულდება, ქუჩა მთლიანად განიტვირთება”, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

ავტომაგისტრალის პარალელურად ლილოში თბილისის შემოვლითი რკინიგზის ახალი ხაზის მშენებლობა დაიწყო. მხოლოდ მშენებლობაზე 3 ათასი თბილისელი დასაქმდება. ახალი ხაზის აშენების შედეგად, გამოთავისუფლებული ტერიტორია კი რეალურად თბილისის ახალი ცენტრი და საქმიანო ზონა იქნება, სადაც ბევრი მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილი შეიქმნება”, – განაცხადა უგულავამ.

“თბილისის შემოვლითი რკინიგზის” პროექტის მიზანია თბილისის ცენტრალური ნაწილის შემოვლა, თბილისის ზღვის ჩრდილოეთით ახალი სარკინიგზო ტრასის საშუალებით. პროექტი დაფინანსდება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან 100 მლნ ევროს ოდენობით და ევროპის საინვესტიციო ბანკიდან ასევე 100 მლნ ევროთი.

ახალი სარკინიგზო ტრასის მშენებლობა 3 წელიწადში დასრულდება, მაგრამ სწორედ ამის ეეჭვება არასამთავრობო სექტორს. ორგანიზაცია “მწვანე ალტერნატივას” მტკიცებით, “საქართველოს რკინიგზამ” შემოვლითი რკინიგზის ტენდერი ისე ჩაატარა, გარემოს დაცვის სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების შეფასება არ წარმოუდგენია, შესაბამისად, არ არსებობს მშენებლობის ნებართვაც.

ორგანიზაციის წარმომადგენლის ირაკლი მაჭარაშვილის განცხადებით, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები ასეთ დარღვევებს უყურადღებოდ არ ტოვებენ. იგი ირწმუნება, რომ არც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს და არც ევროპის საინვესტიციო ბანკს ამგვარი ხარვეზების მქონე პროექტი არ მოსწონთ. ამიტომ გამორიცხული არაა დაფინანსება შეაჩერონ.

“მწვანე ალტერნატივას” პროგრამების მენეჯერის დავით ჭიპაშვილის განცხადებით, რკინიგზასთან დაკავშირებით სამინისტრომ ისე გასცა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომ პროცესში ჩართული ორგანიზაციებისათვის ამის შესახებ არ უცნობებია. სხვათა შორის იგივეს ადასტურებს “მწვანეთა მოძრაობის” თანათავმჯდომარე ნინო ჩხოზაძეც.

presa.ge

გაუგზავნე ბმული მეგობარს    ამოსაბეჭდი ვერსია    განხილვა ფორუმზე



Add a comment...

Posting as Natalia Ksovreli (Change) **Comment**

Post to Profile